სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს
გადაწყვეტილება №371

(ოქმი №349)

თბილისი 2017 წლის 25 აპრილი

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის"
სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის არჩევასთან დაკავშირებით
სამეურვეო საბჭოს მიერ
კენჭისყრის ჩატარების წესის შესახებ
ინსტრუქციაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

1. "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 29-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის არჩევასთან დაკავშირებით სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს 2011 წლის 13 ივნისის №204 (ოქმი №194) გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის არჩევასთან დაკავშირებით სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს მიერ კენჭისყრის ჩატარების წესის შესახებ ინსტრუქციაში შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) ინსტრუქციის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"ინსტრუქცია სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის/თავმჯდომარის მოადგილის არჩევასთან დაკავშირებით სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს მიერ კენჭისყრის ჩატარების წესის შესახებ".

ბ) ინსტრუქციის 1-ლი ნაწილის 1.2, 1.3, 1.4 და 1.5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"1.2. სამეურვეო საბჭო გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე. სამეურვეო საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება სამეურვეო საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

1.3. სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარეს და თავმჯდომარის მოადგილეს საკუთარი შემადგენლობიდან ირჩევენ მეურვეები სამეურვეო საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

1.4. სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის და თავმჯდომარის მოადგილის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე არაუადრეს 30 და არაუგვიანეს

15 კალენდარული დღისა, ხოლო თანამდებობრივი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში – უფლებამოსილების შეწყვეტიდან 15 კალენდარული დღის ვადაში მეურვეები საკუთარი შემადგენლობიდან ირჩევენ ახალ თავმჯდომარეს/თავმჯდომარის მოადგილეს.

1.5. სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე/თავმჯდომარის მოადგილე აირჩევა 3 (სამი) წლის ვადით. ერთი და იგივე პირი არ შეიძლება აირჩეს სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარედ/თავმჯდომარის მოადგილედ ზედიზედ 2 (ორი) ვადაზე მეტი ხნით."

გ) ინსტრუქციის 1-ლი ნაწილს დაემატოს 1.5 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"1.6. სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევა განხორციელდება "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, წინამდებარე ინსტრუქციით დადგენილი წესით."

დ) ინსტრუქციის მე-3 ნაწილის 3.1.1.(დ)) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"დ) სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარედ პირი აირჩევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას მხარს დაუჭერს სამეურვეო საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა."

ე) ინსტრუქციის მე-3 ნაწილის 3.2.1.(ზ)) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"ზ) ბიულეტენების გახსნის შემდეგ ხორციელდება ხმების დათვლა. სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარედ პირი აირჩევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას მხარს დაუჭერს სამეურვეო საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა."

ვ) ინსტრუქციის მე-4 ნაწილის 4.1. და 4.2. პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"4.1. თუ სამეურვეო საბჭოს სხდომას არ დაესწრება სამეურვეო საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობა, რის გამოც, სამეურვეო საბჭო მოკლებულია შესაძლებლობას მიიღოს გადაწყვეტილება სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის არჩევასთან დაკავშირებით, ასეთ შემთხვევაში მოწვეული უნდა იქნეს სამეურვეო საბჭოს ახალი სხდომა.

4.2. სამეურვეო საბჭოს ახალარჩეული თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადა იწყება წინა თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის მომდევნო დღეს, ხოლო თუ იგი აირჩა თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის გამო – მისი არჩევის მომენტიდან."

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე:

გრიგოლ გოგელია

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს წევრები:

გიორგი კოხრეიძე

ქეთევან მსხილაძე

მარინა მუსხელიშვილი

ირინა ფუტკარაძე

სულხან სალაძე

გიორგი ნიჟარაძე

ირაკლი პაპავა